

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის  
მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით  
სამუშაო ჯგუფის სხდომის 2022 წლის 30 ივნისი  
ოქმი N2

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

**ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

**ბესიკ ტოგონიძე** - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

**კახა გურული** - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

**ოთარი ტატალაშვილი** - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

**მამუკა მამაიაშვილი** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

**ხატია ფოცხვერაშვილი** - მერის მრჩეველი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

**ლაშა ბუსხრიკიძე** - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

**ნინო სოსელია** - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

#### არამუდმივი წევრები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ - **ნინო ლაცაბიძე**

**ნინო ლაცაბიძე:** დღეს მოვისმენთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შემდგომ გაკეთებულ ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ კითხვარზე.

**მამუკა მამაიაშვილი:** მოგახსენებთ, რომ წინა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კითხვარის შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მომავალი წლების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ამ პერიოდში განხორციელდა 1028 ადამიანის გამოკითხვა და შემდგომში განხორციელდა მისი ანალიზი. ამ ეტაპზე გამოიკვეთა ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და სამუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

წარმოდგენილი შედეგების ანალიზი კი ასე გამოიყენება:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება
2. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
3. განათლება
4. დასუფთავება და გარემოს დაცვა
5. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ნინო ლაცაბიძე: მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიასთან მჭიდროდ გადაჯაჭვულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა ახალი რეკრეაციული არეალების შექმნა და მოვლა-პატრონობა. მაღალია მოსახლეობის ინტერესი ამ მიმართულებით, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მომავალშიც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა სოციალურ პროგრამებზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამის სამსახურთან ერთად უნდა გადაიხედოს თითოეული პროგრამის შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით განახორციელოს საბიუჯეტო პროცესის უზრუნველყოფა.

ბესიკ ტოგონიძე: განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხოვნები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, როგორიც არის გზების და შენობების გამაგრება-რეაბილიტაცია, ასევე სპორტული მოედნების შექმნა-რეაბილიტაციის მიმართულებით, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

მამუკა მამაიაშვილი: ამის შემდგომ მოხდება პრიორიტეტისათვის შესაბამისი ჭერების განსაზღვრა და დაგზავნა დარგობრივ სამსახურებსა და პროგრამების განმახორციელებლებთან.

მადლობას გიხდით და გისურვებთ წარმატებებს.

1) ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

მამუკა მამაიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ხატია ფოცხვერაშვილი - მერის მრჩეველი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ლაშა ბუსხრივიძე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია ჭონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

მაია გოგებაშვილი - მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მდივანი